



თბილისის საკრებულომ „თაბორი რიზორტს“ და „თბილისი სიტის“ მიწის ნაკვეთები არ უნდა გადასცეს

2017 წლის 5 ოქტომბერს, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, წერილობით მიმართა თბილისის საკრებულოს და თბილისის მთავრობის განკარგულებების და საკრებულოს ორი განკარგულების პროექტის საფუძველზე, შემდეგი საკითხების გადაწყვეტა ითხოვა:

1. თბილისში, ოქროყანას დასახლებაში მდებარე 4433 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განაკრგვის ფორმით პრივატიზების და გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმება;
2. თბილისში, პუშკინის ქუჩაზე ცეკავშირის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 1900 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განაკრგვის ფორმით პრივატიზების და გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმება.

საკრებულოში წარდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ოქროყანას დასახლებაში მდებარე 4433 კვ.მ მიწის ნაკვეთი შპს **„რიზორტს“** პირდაპირი განაკრგვის

ფორმით 102,000 ლარად უნდა გადაეცეს საკუთრებაში. ხოლო, თბილისში, პუშკინის ქუჩაზე ცეკავშირის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე სასტუმროსთან (**□□□□□□** თბილისის **□** პროექტის ერთ-ერთი სასტუმრო) არსებული 1900 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს **□□□□□□** სითისათვის **□** საკუთრებაში გადაცემა, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად უნდა განხორციელდეს. ორივე კომპანიის მიერ დაგეგმილი პროექტები [თანაინვესტირების ფონდის](#) მხარდაჭერით ხორციელდება, რომელიც 2013 წელს დაფუძნდა. თანაინვესტირების ფონდის დაფუძნება ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის სახელთან არის [დაკავშირებული](#).

მიგვაჩნია, რომ თბილისის საკრებულომ მხარი არ უნდა დაუჭიროს თბილისის მერიის მიერ გაგზავნილი განკარგულებებისა და ხელშეკრულებების პროექტებს შემდეგ გარემოებათა გამო:

- თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 4 ოქტომბრის #37.10.715 განკარგულებიდან ირკვევა, რომ შპს **□□□□□□** რიზორთსი **□□** საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ანვითარებს გოლფის მოედნებს, მრავალნომრიან ხუთვარსკვლიან სასტუმროს და რეკრეაციულ ზონას. კომპანიის მხრიდან მოთხოვნილი 4433 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა უკავშირდება სარწყავი-სადრენაჟე სისტემის დამხმარე ტექნიკური ნაგებობის მოწყობას. საიას ხელთ არებული ოფიციალური დოკუმენტაციით, აღნიშნული პროექტის განხორციელება **□□□□□□ რიზორთსის □ მხრიდან თბილისის ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში არსებულ ტერიტორიას მოიცავს.**

- პროექტის ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში განხორციელება დასტურდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 2016 წელს მოწოდებული ოფიციალური დოკუმენტით (რუკა), სადაც თბილისში არსებული ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაა აღნიშნული. ასევე ზონის დამატებითი სარეკომენდაციო საზღვარი. **კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მსგავსი პროექტების ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში განხორციელება დაუშვებელია;**

- თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 4 ოქტომბრის #37.10.716 განკარგულებაში აღნიშნულია, რომ შპს **□□□□□□** სითის **□** მიერ, თბილისში, პუშკინის ქუჩაზე არსებული პროექტის ფარგლებში მშენებარე სასტუმროსათვის საჭირო მიწისქვეშა ავტოსადგომების რაოდენობა დამაკმაყოფილებელია. **შესაბამისად გაურკვეველია, თუ იგივე მიზნებისათვის რატომ უნდა გადასცეს თბილისის თვითმმართველობამ სიმბოლურ ფასად - 1 ლარად 1900 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საკუთრებაში კომპანიას;**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



- **ქვემოთ** სითის **ქ** მხრიდან 1 ლარად ქონების საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, არანაკლებ 30 მიწისქვეშა ავტოსადგომის მონაცობა და 1 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელება, **არ წარმოადგენს - ქვემოთ საზოგადოებრივი ინტერესის** შემთხვევას, როგორც ეს თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებაშია წარმოჩენილი;

- **ქვემოთ საზოგადოებრივ ინტერესის** **ქ** სახელით, კერძო კომპანიის საკუთრებაში არსებული სასტუმროსათვის დამატებით მიწისქვეშა 30 ავტოსადგომის მონაცობის მიზნით, 1900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სიმბოლურ ფასად გადაცემა არის დაუსაბუთებელი და ეწინააღმდეგება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების რაციონალურად განკარგვას.

მოვეწოდებით თბილისის საკრებულოს, იხელმძღვანელოს და განუხრელად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა და მხარი არ დაუჭიროს თბილისის მერიის მიერ გაგზავნილი განკარგულებების და ხელშეკრულებების პროექტებს. ასევე, გაითვალისწინოს საკითხისადმი საზოგადოებაში არსებული ინტერესი და უზრუნველყოს გადანაცვეტილების მიღებისას პროცესის გამჭვირვალობა.